# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 115

ქალაქი ქუთაისი 31 ივლისი 2019 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში
II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის
(რეკონსტრუქციისათვის), მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების
ნაცვლად, მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის
შ ე ს ა ხ ე ბ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 94-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**ა დ გ ე ნ ს :**

**მუხლი 1.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და 4 მეტრამდე სიმაღლის ღობის მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის), მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად დადგინდეს მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულება, კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 2.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, 50 $მ^2$-მდე საცხოვრებელი ფუნქციის მქონე სახლების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის), მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად, დადგინდეს მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულება, კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 3.** ამ დადგენილების პირველი და მეორე მუხლებით დადგენილი დეტალური შეტყობინების ვალდებულება არ ხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სტატუსის მქონე შენობა–ნაგებობების ვიზუალური (ფიზიკური) დაცვის არეალებში მშენებლობის (რეკონსტრუქციის) განხორციელების შემთხვევაში, ამ არეალებში შენობა-ნაგებობების მშენებლობა (რეკონსტრუქცია) ექვემდებარება მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულებას, კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 4.** დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის პირველი აგვისტოდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია